

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2004 წელი, №41, მუხ. 200) მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ვ) წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის – მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი